შეთქმულება პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ!

შეთქმულება პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ!

2019 წ. მიწურულს აღელვებული საზოგადოება შეშფოთებული უყურებდა იმ ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ კამპანიას, რომელიც მიმართული იყო ჩვენი პატრიარქისა და, საზოგადოდ, მთელი ეკლესიის წინააღმდეგ. წინამდებარე წერილს ვწერთ მრავალრიცხოვანი მრევლის სახელით. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ საზოგადოებას, თუ ვინ იბრძვის პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ. გვინდა წარმოვაჩინოთ იმ მღვდელმთავრების მორალური სახე, ვინც ღიად თუ ზურგს უკან მონაწილეობს ხსენებულ კამპანიაში. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნებოდით, რომ ეს საკითხები ეკლესიის გარეთ არ გასულიყო და ეკლესიის წიაღში მოგვარებულიყო, მაგრამ რადგან მეამბოხეებმა საჯაროდ ინებეს ცილისმწამებლობა, ჩვენც იძულებულნი ვართ, რომ საჯაროდვე ვამხილოთ ისინი თავიანთ ბოროტგანმზრახველობაში.

დასაწყისისთვის აღვნიშნავთ, რომ პატრიარქის წინააღმდეგ კამპანია წლებია, რაც მიმდინარეობს, თუმცა დიდად სამწუხარო ისაა, რომ ასპარეზზე კვლავ მღვდელმთავრები გამოვიდნენ (რა თქმა უნდა – გამოიყვანეს). ვინ და რატომ? მივყვეთ თანმიმდევრობით.

პატრიარქის წინააღმდეგ ცილისმწამებლური გამოხდომები წინა საუკუნეში, მისი პატრიარქად გამორჩევისთანავე დაიწყო. თუმცა მაშინ მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ძირითადად, საპატრიარქო ტახტის მოსურნენი და მათი მხარდამჭერები. მათი ცილისმწამებლური გამონათქვამები დღესაც კვებავს სხვა ფორმაციისა და მოტივაციის ცილისმწამებლებს.

ჩვენს საუკუნეში კი უწმინდესისადმი პირველი ღია მუქარა გაისმა 2002 წელს საქართველოს საეკლესიო დელეგაციის ვიზიტისას თურქეთში. მუქარა მოდიოდა კონსტანტინოპოლის

პატრიარქ ბართლომეს მხრიდან, ხოლო ადრესატი უშუალოდ ჩვენი პატრიარქი იყო.

სანამ საუბარს გავაგრძელებთ, აუცილებელია ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ, თუ რას წარმოადგენს დღეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. ჯერ კიდევ მე–19 საუკუნეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო იყო მართლმადიდებლობის ბურჯი და მისი სწავლების სიწმინდის დამცველი. თუმცა მე–20 საუკუნეში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იგი იქცა განდგომილების ავანგარდად და აშშ–ს პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტად ქრისტეს ეკლესიაში. ამ სიტყვებში დასარწმუნებლად მკითხველს მივუთითებთ ქართულად თარგმნილ და გამოცემულ მღვდელმონაზონ საბა იანიჩის წიგნზე "განდგომილება". ამ წიგნში, სხვა მრავალთან ერთად, არის აღწერილი, თუ როგორ ჩამოაგდეს აშშ–ს სპეცსამსახურებმა 1948წ. საპატრიარქო ტახტიდან მათ მიერ ჯეროვნად ვერ მართული იმდროინდელი პატრიარქი ბასილიV, რომელსაც მიუქსიეს თურქეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლები, შეიპყრეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტეს იგი. მის მაგივრად კი კონსტანტინოპოლის პატრიარქად აღასაყდრეს, სინამდვილეში კი "დანიშნეს", მათი მონა–მორჩილი და ნების აღმსრულებელი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის იმდროინდელი მთავარეპისკოპოსი ათინაგორა, რომელიც საგანგებოდ ჩამოაბრძანეს კიდეც აშშ–ს იმდროინდელი პრეზიდენტ ტრუმენის კუთვნილი თვითმფრინავით. მას შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქი იქცა აშშ–ს სპეცსამსახურების ნომენკლატურად, ხოლო კონსტანტინოპოლის საპატრიარქო "ც.რ.უ."–ს (ქართულად "ცსს" – ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) დანამატად, ანუ ცრუ საპატრიარქოდ. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება და მას

"წარმატებით" ახორციელებს კონსტანტინოპოლის ამჟამინდელი პატრიარქი ბართლომე.

გავიხსენოთ თუნდაც 2016 წელს კრეტაში ჩატარებული ე.წ. სრულიად მართლმადიდებელთა კრება, რომლის მიზანი იყო ეკუმენისტური გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების მიღება და, შედეგად, განხეთქილებების პროვოცირება ქრისტეს ეკლესიაში. გახსოვთ, ვინ წარმართავდა კრების მუშაობასა და ვინ მართავდა პრესკონფერენციებს? ვინ და აშშ–ს სპეცსამსახურის წარმომადგენელი, ბერძნული წარმოშობის ქალბატონი. და ვინ იცავდა ამ კრების "უსაფრთხოებასა" და მუშაობას მთელ პერიმეტრზე? ვინ და აშშ–ს სპეცსამსახური, ღიად და დაუფარავად.

გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი. მაშ ასე, პატრიარქი ბართლომე ემუქრება ჩვენს პატრიარქს. იკითხავთ, რა უნდოდა ბართლომეს ჩვენი პატრიარქისაგანო? ბართლომე, ეს ფანარის მიტროპოლიტი (ფანარა ქუჩაა სტამბოლში, რომელზეც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მდებარეობს), რომელიც ყოვლად უსამართლოდ (ეკლესიოლოგიური და არაეკლესიოლოგიური თვალსაზრისით) იჩემებს (აჩემებინებენ) მსოფლიო პატრიარქობას, ზეწოლას ახდენდა ჩვენს პატრიარქზე მოთხოვნით, რომ საქართველოს ადგილობრივი ეკლესია დაბრუნებოდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ("ემს"), რომელიც საქართველოს ეკლესიამ 1998წ. დატოვა.

გაუთვითცნობიერებელთათვის განვმარტავთ, რომ "ემს" – ესაა ეკუმენისტური საკრებულო, ანტიქრისტეს რელიგიური საკრებულოს ერთგვარი წინასახე, რომლის მიზანია, აიძულოს მართლმადიდებლები, შექმნან ადოგმატური ერთობა ერეტიკოსებთან. სხვა სიტყვებით, შექმნან ერთობა არა ქრისტეში, არამედ ანტიქრისტეში. ნიშანდობლივია, რომ "ემს" შეიქმნა ამსტერდამის ასამბლეაზე იმავე 1948 წელს, ანუ აშშ–ს

მიერ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს თავისი გავლენის ქვეშ მოქცევის წელს.

"ემს"–ში რეგლამენტით აკრძალულია მართლმადიდებელთა მიერ ჭეშმარიტების დამოწმება და ქადაგება, ანუ აკრძალულია პროზელიტიზმი. დაშვებულია მხოლოდ პლურალიზმი, ანუ სიცრუე. რეალურად "ემს" ის ძალისმიერი ინსტრუმენტია, რომელიც მოწოდებულია ქრისტეს ეკლესიაში ეკუმენიზმის, ამ მწვალებლობათა მწვალებლობის (წმ. იუსტინე პოპოვიჩი) გასავრცელებლად. ეკუმენისტური მოძრაობა კი, საზოგადოდ, არის გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ "ემს"–დან საქართველოს ეკლესიის გამოსვლა იყო ერთგვარი დემარში დემონიზებული გლობალისტური მოძრაობის წინააღმდეგ, რაც, ცხადია, მიუღებელი იქნებოდა მსოფლიო პოლიტიკური ელიტისათვის. ეს იყო პრეცედენტი, რომელსაც გამოუჩნდნენ კიდეც მიმდევრები, ერთის მხრივ ბულგარეთის ადგილობრივი ეკლესია, რომელმაც ასევე დატოვა "ემს", ხოლო მეორეს მხრივ ჩრდილოეთ ამერიკაში ანტიოქიის მართლმადიდებლური ეპარქია, რომელმაც 2005 წელს დატოვა "ემს"–ს ფილიალი "ნეს" (ნაციონალურ ეკლესიათა საბჭო").

ამგვარად, პატრიარქი ბართლომე ზეწოლას ახდენს ჩვენს პატრიარქზე, რომლის სასახელოდაც უნდა ითქვას, რომ, ღვთის შეწევნით, მან გაუძლო ამ ზეწოლას და არ დათანხმდა სულის წარსაწყმედელ "ემს"–ში დაბრუნებას. მაშინ მუქარამაც არ დააყოვნა: ყველას თანდასწრებით პატრიარქი ბართლომე დაემუქრა ჩვენს პატრიარქს სიტყვებით, რომ მას პრობლემები შეექმნებოდა. პრომლემების შემქმნელები, რა თქმა უნდა, იქნებოდნენ ბართლომეს ზურგს უკან მდგარი მსოფლიო ძალები, ასევე მისი ემისრები საქართველოში, მათ შორის მღვდელმთავრები, ასევე სამღვდელონი და საერონი, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით.

მთელი შემდგომი პერიოდი, ვიდრე დღემდე, იყო და არის ამ მუქარის სისრულეში მოყვანის არაერთი მცდელობა.

ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2004–2006 წლებში იწყება ღია თავდასხმები ეკლესიასა და პატრიარქზე, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ "თავისუფლების ინსტიტუტი", "კმარა" და მათი სატელიტები.

2004 წლისთვის ეკლესიის მტრებმა შეიმუშავეს ე.წ. ეკლესიაზე შეტევის საიდუმლო გეგმა, რომლის შინაარსი იყო ეკლესიის კრიტიკა და დისკრედიტაცია პატრიარქის ქების ფონზე. ეს კამპანია უნდა განხორციელებულიყო საზოგადოებრივ არხზე სხვადასხვა ცილისმწამებლური გადაცემების მომზადების გზით. შედგენილი იყო კონკრეტული გადაცემების ჩამონათვალი, კლასიფიცირებული 8 ძირითად პუნქტად და მრავალ ქვეპუნქტებად. თუმცა ეს მზაკვრული გეგმა ცნობილი გახდა საზოგადოებისათვის და მხილების შემდეგ გეგმა ჩაფიქრებული სახით ვეღარ განხორციელდა. საზოგადოებრივი არხის მაგივრად ხსენებული გადაცემები, ისიც შემცირებული რაოდენობით, გავიდა ტვ "რუსთავი 2"–ზე, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ მოუტანა ბოროტგანმზრახველებს. შემდგომ პერიოდში ეკლესიის არაკეთილმოსურნეთა ტაქტიკა

შეიცვალა და ეკლესიის დისკრედიტაციის განხორციელება იწყება პატრიარქის დისკრედიტაციის ფონზე.

ბევრს ახსოვს, თუ როგორ გაცხადდა ქართველი საზოგადოებისათვის ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის შეკვეთა აშშ–დან. კერძოდ, "თავისუფლების ინსტიტუტს" დასავლელმა პატრონებმა დაუსვეს კითხვა, თუ რა თანხა იყო საჭირო ეკლესიის დისკრედიტაციისთვის. ამ ზნედაცემულმა ინსტიტუტმა კი ასეთი ცილისმწამებლური კამპანიის საწარმოებლად 1 მლნ. დოლარი მოითხოვა. ისიც ცხადი გახდა საზოგადოებისათვის, რომ მარტო დისკრედიტაციის გეგმები არ მუშავდებოდა, არამედ საუბარი იყო პატრიარქის ფიზიკურ ლიკვიდაციაზეც, რაც ნაც. ელიტის ერთ–ერთმა წარმომადგენელმა, ძალაუფლებით გამოწვეულ ეიფორიაში მყოფმა და სიფხიზლე დაკარგულმა (სასმელმაც იმუშავა), უადგილო ადგილას წამოაყრანტალა.

2004 წელსვე დაიწყო ეკლესიაზე ზეწოლა მასში რეფორმების განხორციელების მოთხოვნით. ნაციონალებისა და კმარელების საინფორმაციო ჟურნალს იმ დროს წარმოადგენდა ეკუმენისტური ჟურნალი "ზღვარი" (შემდგომ სახელშეცვლილი "არჩევანი"), რომლის რედაქტორის მოადგილე იყო იმდროინდელი უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა, ხოლო რედაქტორი ბექა მინდიაშვილი. ეკლესიაში რეფორმების განხორციელების აუცილებლობა ამ ჟურნალმა გაახმოვანა

შემდეგი ლოზუნგით: **"რეფორმაცია ან სიკვდილი"** ("ზღვარი, №1(3), 2004). თუ ვის სიკვდილს გულისხმობდნენ იმდროინდელი "ზღვრელები" თავიანთ დამქაშებთან ერთად, ადვილი მისახვედრია.

მალე საქმეში ჩართეს სასულიერო პირები, ჯერ წვრილი კალიბრის პირბი, რასაც მოყვა მსხვილი კალიბრის, კერძოდ, მღვდელმთავართა ერთი ჯგუფის ღია გამოსვლები მასმედიის საშუალებებით, ეკლესიაში რეფორმის მოთხოვნითა და არც თუ კარგად შენიღბული დემარშით პატრიარქის წინააღმდეგ. მათი მთავარი ტრიბუნები იყო: ტვ "რუსთავი 2", გაზეთები "24 საათი", "რეზონანსი" და ა.შ.

გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული სამი მღვდელმთავრის, –

დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის, ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოს გრიგოლისა და დმანელი ეპისკოპოს ზენონის, – ღია მიმართვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია I-სადმი წარმოადგენდა მცდელო–

ბას, რომლის მიზანი იყო საქართველოს ეკლესიაში ტრადიციად დამკვიდრებული საპატრიარქო მმართველობის შეცვლა სინოდალური მმართველობით. მეუფეები ეკლესიის წინაშე აყენებდნენ 11 მოთხოვნას, რომლის მიზანი და არსი იყო "ხავერდოვანი" გადატრიალების მოწყობა ეკლესიაში.

მიმართვის პრეამბულა და პუნქტობრივი მოთხოვნების შინაარსი მიუთითებდნენ, რომ საუბარი იყო საქართველოს ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე ტრადიციად ჩამოყალიბებული, წმ. ვახტანგ გორგასლის მიერ ქართლის კათალიკოსად წმ. პეტრე კათალიკოსის მოწვევისა და დადგენის დროიდან მოყოლებული, სულიერი ბრძოლით მოპოვებული და მრავალ პატრიარქთა მოწამებრივი სისხლითა და მართლმკვეთელური ღვაწლით განმტკიცებული საპატრიარქო მმართველობის შეცვლაზე სინოდალური მმართველობით (ე.წ. სამთა სინოდი).

ხსენებულ მღვდელმთავართა იმდროინდელი არაერთი სტატია განმსჭვალულია ეკუმენისტური სულისკვეთებით, ტრადიციული ღირებულებების უარყოფითა და განდგომილებით, ცილისწამებებით, აშკარა პოლიტიკური

მოტივაციით. ყველაფერი კეთდებოდა "დასავლური არჩევანის" საფარველ ქვეშ. საბედნიეროდ, ეკლესიამ, ღმრთის შეწევნითა და ეკლესიის ერთგულ წევრთა თანადგომით, შეძლო ამ შემოტევის გაძლება და მოგერიება.

ჩვენ გვქონდა განზრახვა, რომ საზოგადოებისთვის მოგვეთხრო იმ ამორალური და რიგ შემთხვევაში კრიმინალური საქმიანობის შესახებ, რომელსაც ზოგიერთი ზემოთ ხსენებული მღვდელმთავარი ჩადიოდა არც თუ შორეულ წარსულში. მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ ამ განზრახვისაგან, იმ იმედით, რომ ეკლესია ბოლოს და ბოლოს თავისი სამართლის მიხედვით მიაგებს მათ საკადრის პასუხსა და იზრუნებს ეკლესიის ზნეობრივი სახის შენარჩუნებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ვამხილოთ უზნეონი.

ჩვენთვის და საზოგადოებისთვის ცნობილი უზნეობის ასეთი ფაქტები კი მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთი მღვდელმთავარი დაუსჯელობის სინდრომით არის შეპყრობილი, რადგან სარგებლობს გარე ძალების მხარდაჭერით, მათ შორის სწორედ კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეს მფარველობით.

შედეგად კი რა გვაქვს? აღვნიშნოთ ეს თუნდაც მეუფე გრიგოლის მაგალითზე. ეს ის მიტროპოლიტია, რომელიც დღეს ფაქტობრივად მხარში უდგას (იქნებ თანამზრახველიცაა!) პატრიარქის არნახული ცილისწამებისათვის დასჯილ მეორე მიტროპოლიტს, მეუფე პეტრეს, სინოდსაც აკრიტიკებს, მეუფე პეტრეს დასჯის საქმეში აჩქარდაო (არადა მეუფე პეტრე, საეკლესიო სამართლის მიხედვით, არა თუ განყენებას, არამედ განკვეთას იმსახურებს!). ეს ის მღვდელმთავარია, რომელმაც ნაცმოძრაობის დამანგრეველ განათლების რეფორმას, სკოლებიდან ხატებისა და სალოცავი კუთხეების გატანას, "მამაო ჩვენოს" აკრძალვას, სამღვდელოების გაძევებას მისცა

მხადაჭერა ეკლესიის შიგნით, გააფორმა რა მემორანდუმი განათლების სამინისტროსთან, კერძოდ იმდროინდელ მინისტრთან კახა ლომაიასთან, და ეს იმ დროს, როდესაც საპატრიარქოს განათლების კომიტეტი ეწინააღმდეგებოდა ნაც. ხელისუფლების დამღუპველ რეფორმას, რეფორმას, რომელმაც საბოლოოდ დაანგრია განათლება და უზნეობის ნიაღვარს მისცა გზა სასწავლო დაწესებულებებში. ეს ის მღვდელმთავარია, რომელიც თანამშრომლობდა ვატიკანის ორგანიზაცია CRS–თან (კათოლიკური დახმარების სამსახური), რომელიც ნაც. ხელისუფლებამ სკოლებში შეუშვა პროკათოლიკური კლუბების შესაქმნელად და მომავალი თაობის წარსაწყმედად, რაც, საბედნიეროდ, ეკლესიის მტკიცე პოზიციის გამო არ განხორციელდა. ეს ის მღვდელმთავარია, რომელიც საეკლესიო მთავარი ცენზორის რანგში და როლში ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოში გამოიცეს და საეკლესიო მაღაზიებით გავრცელდეს მწვალებლური, სულისწარმწყმედი, ეკუმენისტური, მოდერნისტული წიგნები. ეს ის მიტროპოლიტია, რომელიც თავის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის ხარისხით აჯილდოვებს ცნობილ მოდერნისტებს, მათ შორის პატრიარქ ბართლომეს მარჯვენა ხელს, სუპერეკუმენისტ იოანე ზიზიულასს. კიდევ რამდენი ჩამოვთვალოთ? აღარა კმარა, უწმინდესო? საზოგადოებაში ხომ უზნეობის სხვა ფაქტებზეცაა საუბარი, რომელიც ხსენებულმა მღვდელმთავარმა ჩაიდინა (მის კრიმინალურ წარსულს არ ვგულისხმობთ). უზნეობის ფაქტები ხომ ის კომპრომატებია არაკეთილმოსურნე ძალების ხელში, რომელთაც ისინი აღვირად იყენებენ და ამ და სხვა აღვირამოდებულ სასულიერო პირებს ეკლესიის წინააღმდეგ სამოქმედოდ წარმართავენ? ხომ არ მოგვიმრავლდნენ ეკლესიაში აღვირამოდებული მღვდელმთავრები და სამღვდელოება?

განვაგრძოთ ჩვენი თხრობა. 2007 წელს ნაციონალური ხელისუფლების თავხედობა იქამდე მიდის, რომ ყველა სხვა ჯურის რელიგიებისა და ბოროტმადიდებელთა საკულტო ნაგებობების მშენებლობების ხელშეწყობის ფონზე 2007 წლის მაისში, სულთმოფენობის დღეს, ანგრევს მშენებარე მართლმადიდებლურ ტაძარს აჭარაში, ფერიის მთაზე. საბედნიეროდ ნაც. ხელისუფლების მიერ მრავალჯერ დარბეულმა ქართულმა საზოგადოებრიობამ არ დაანება ეს თავხედობა ნაც. ხელისუფლებასა და დანგრეული ტაძარი კვლავ აღადგინა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ეკლესიისა და ერის მტერი ნაც. მოძრაობა პოლიტიკურ სანაგვეზეც გაისტუმრა.

არც ის გახდა დაფარული საზოგადოებისათვის, რომ ნაც. ხელისუფლების ზეობის პერიოდში პატრიარქი მოწამლეს და საჭირო გახდა მისი გერმანიაში საგანგებოდ გადაყვანა. სწორედ გერმანელმა ექიმებმა დაადგინეს უწმინდესის მოწამვლის ფაქტი. საბედნიეროდ უწმინდესმა გაუძლო ამ შემოტევას, ხოლო საუბედუროდ ამ მოწამვლაში ხელ და სულგასვრილნი, როგორცა ჩანს, დღესაც გარს არტყია უწმინდესს.

ნაც. მოძრაობის ეკლესიაზე შეტევის მცდელობა იყო ასევე მის მიერ მიღებული კანონი "რელიგიების შესახებ".

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეკლესიაზე შეტევა არ შეჩერებულა. იგი უფრო "დახვეწილი" გახდა. ამას მოწმობს "ოცნების" მიერ მიღებული ე.წ. "ანტიდისკრიმინაციული კანონი", ასევე ღიად გაკეთებული მოწოდება, რომ უნდა ვაკრიტიკოთ ეკლესიაო. სწორედ ეკლესიის კრიტიკა–დისკრედიტაციის ამ ტალღას უკავშირდება არაერთი გამოხდომა, მათ შორის ე.წ. "ციანიდის საქმე" და ამ ბოლო დროს წარმოებული ცილისმწამებლური კამპანია უწმინდესის

წინააღმდეგ. ამ კამპანიაში აშკარად მოჩანან ცნობილი "ნაციონალი მღვდელმთავრები", მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს ემისრები, დასავლეთიდან მზის ამომყვანი ეპისკოპოსები და სამღვდელოება, ე.წ. ლიბერალი სასულიერო და საერო პირები.

ეს კამპანია რომ შეთქმულების ნიშნებს ატარებს, ამის მრავალი დამადასტურებელი ნიშანი და ფაქტი არსებობს. გავიხსენოთ თუნდაც ქრისტეს მტყუვარის, გიორგი ტიგინაშვილისა და ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოს საბას კამათი ღია ეთერში 2019 წლის 31 ოქტომბერს, რომლის დროსაც

ტიგინაშვილი შეახსენებს მეუფე საბას, რომ ერთ–ერთ ცნობილ მღვდელთან ტაძარში ღამისთევის ლოცვის შემდეგ შეკრება რომ შედგა, რომელსაც ესწრებოდნენ სასულიერო და საერო პირები, ტიგინაშვილისა და მეუფე საბას ჩათვლით, და რომელზეც შეკრების მონაწილეებს საუბარი ჰქონდათ პატრიარქის მიმართ ცილისმწამებლურ მონაჩმახზე მის

უზნეობასთან დაკავშირებით, თურმე მეუფე საბას უთქვამს, ეს რომ მცოდნოდა, არ მივიღებდი პატრიარქისგან ხელდასხმასო. მეუფე საბას არ უარუყვია ის ფაქტი, რომ ასეთ შეკრებასა და საუბარს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, უბრალოდ თავისი არაწიგნიერი მეტყველებით ცდილობდა თავის მართლებას. აი, როგორი შეკრებები იმართება საქართველოში და მზადდება ცილისმწამებლური კამპანია პატრიარქის წინააღმდეგ.

საინტერესოა, ვინ იყო ის ცნობილი მღვდელი, რომელსაც ტიგინაშვილი ახსენებს და ვისთანაც გაიმართა ეს ცილისმწამებლური შეკრება? ჩვენთვის ცნობილია ამის შესახებ, მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ ამ მწვალებლობის ჭიით სულ–გონება გამოხრული და ლიბერალობამოჭარბებული პირის დასახელებისაგან. აღვნიშნავთ მხოლოდ: ცილისმწამებელთა მთელი ეს ჯგუფი, ძირითადად, პატრიარქ ბართლომეს ემისრებისაგან შედგება.

დავუბრუნდეთ პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ აგორებულ ბოლო კამპანიას, რომელშიც მთავარი როლი მეუფე პეტრეს ერგო. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ეკლესიის დისკრედიტაციის გარდა, სხვა მიზნებიც ხომ არ ამოძრავებდათ ეკლესიის მტრებს? ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამას. არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ეკლესიის დისკრედიტაციის გარდა ჩაფიქრებული ყოფილიყო ასევე უკრაინის მსგავსი სცენარის გათამაშება. კერძოდ, კანონიკური ეკლესიის დაშლა და სქიზმატური ეკლესიის შექმნა. ესეც არ იყოს, პატრიარქ ბართლომეს ხომ დიდი ხანია თვალი უჭირავს აფხაზეთზე. ცნობილია მისი კონკრეტული ქმედებებიც, კერძოდ, აფხაზეთში მისი გავლენის ქვეშ მყოფი სასულიერო პირების გააქტიურებასთან დაკავშირებით. ის, რომ ბართლომე ჯერჯერობით ვერ ახერხებს აფხაზეთში თავისი გეგმების განხორციელებას, ამის მიზეზი არის ის, რომ მისი ინტერესები

აფხაზეთში ეჯახება ოკუპანტური ძალების, კერძოდ რუსეთის ინტერესებს. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ეკლესია დე იურე აფხაზეთის ტერიტორიას ჯერ კიდევ საქართველოს ეკლესიის კანონიკურ სივრცედ აღიარებს. ბართლომეს შესაძლო გეგმებთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ, რომ არ გამოვრიცხავთ იმას, რომ რომელიმე ქართველ მღვდელმთავარს ხიბლავდეს აფხაზეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში.

ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოს მელქისედეკის დემარში სინოდის წინააღმდეგ, შეურაცხყოფა, რასაც წარმოადგენდა მისი განცხადება უკრაინის სქიზმატური ეკლესიის აღიარებასთან დაკავშირებით. მან განაცხადა: როდემდე უნდა გვეშინოდეს რუსეთისა, რომ არ ვაღიარებთ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიასო. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს განცხადება თავისი ხასიათით არის არა ეკლესიოლოგიური ცნობიერების მატარებელი პირის განცხადება, არამედ პოლიტიკოსისა, ისიც არაგამჭრიახისა. მისი აზრით ეკლესია უნდა მოქმედებდეს არა საეკლესიო სამართლის მიხედვით, რომლის თანახმადაც ნებისმიერი სქიზმატური დაჯგუფების მხარდაჭერა და, მეტადრე, ეკლესიად აღიარება არის უდიდესი დანაშაული, რომელიც ეკლესიიდან განკვეთას იმსახურებს, არამედ პოლიტიკური სიმპატია–ანტიპატიებისა და პრიორიტეტების მიხედვით. თუმცა რა არის გასაკვირი ამ ნაციონალების ფავორიტი

მღვდელმთავრისაგან, რომელსაც ნაც. ხელისუფლება გაპატრიარქებას უპირებდა, თუკი ზემოთ აღწერილ გეგმებს განახორციელებდა. ის, რომ იგი დღემდე რჩება ნაც.ხროვის ფავორიტად, ამაზე თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მეუფე მელქისედეკი 2019 წლის 8 დეკემბერს ევრო–ნაცების პარტიულ კრებაზე პოლიტიკური განცხადებით გამოვიდა. ჩვენ იმასაც არ გამოვრიცხავთ, რომ პატრიარქ ბართლომეს ფავორიტი საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე სწორედ მეუფე მელქისედეკი იყოს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წინამდებარე წერილს მარავალრიცხოვანი მრევლის სახელითა ვწერთ. თუ იკითხავთ, რომ მრევლს ვინ რას ეკითხება და რა უფლება აქვსო, გიპასუხებთ აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქების 1848 წ. 6 მაისის ეპისტოლეში მოყვანილი სიტყვებით (ციტატა): **“ჩვენში არც პატრიარქებსა და არც (საეკლესიო) კრებებს არასდროს შეეძლოთ შემოეტანათ რაიმე სიახლე, იმიტომ, რომ კეთილმსახურების დამცველ-შემნახავი ჩვენში არის თვით სხეული ეკლესიისა, ანუ თვით მორწმუნე ერი, რომელსაც ყოველთვის სურს თავისი სარწმუნოების უცვალებლად და წმიდა მამათა რწმენასთან თანახმიერად დაცვა”** (ეპისტოლე, § 17). ამ ეპისტოლეში პატრიარქები მრევლს ეკლესიის სინდისს უწოდებენ.

უღირსთა მამხილებელი ქმედებისთვის ასევე გვლოცავს წმ. იოანე ოქროპირი, რომელიც აღფრთოვანებული იყო თავისი მრევლის მოქმედებით. იგი ამბობს: **"ვხედავ რა თქვენ კეთილმსახურებას, გიწოდებთ ცხვრებს; ვხედავ რა მზრუნველობას, გიწოდებთ მწყემსებს; ვხედავ რა სიბრძნეს, გიწოდებთ მესაჭეებს; ვხედავ რა ახოვნებასა და სიმტკიცეს, თქვენ ყველას მებრძოლებსა და მხედარმთავრებს გიწოდებთ. აი, ღვაწლი, აი, მრევლის მზრუნველობა! თქვენ მგლები**

განდევნეთ და არ სცხრებით ზრუნვისაგან. მენავენი, თქვენთან ერთად რომ იყვნენ, თქვენს წინააღმდეგ მოიქცნენ და ნავის წინააღმდეგ წამოიწყეს ომი. თქვენ ღაღადებთ: განაგდეთ ეს სამღვდელოება, სხვა სამღვდელოებას მოვითხოვთ ეკლესიისათვის!" (მეორე სიტყვა პირველი ექსორიიდან დაბრუნების შემდეგ, 5).

ჩვენც მოვითხოვთ საეკლესიო ხელისუფლებისაგან: დაამყარეთ წესრიგი ეკლესიაში, განაყენეთ, რიგ შემთხვევებში განკვეთეთ ეკლესიიდან უღირსი სასულიერო პირები, რა წოდებისაც არ უნდა იყვნენ ისინი. ხომ გვიდევს წინ რუის–ურბნისის კრების მაგალითი და ისიც, თუ როგორი აღორძინება მოყვა ამ კრებას ქვეყნისა თუ ეკლესიისა, ერისა და ბერისა.

ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ეკლესია, ჩვენი ერი და ჩვენი ქვეყანა, ვიდრე მეორედ მოსვლამდე. გეშინოდეთ და შეინანეთ ქრისტეს მტყუვრებო.

ამინ!

საქართველოს
მართლმადიდებელი ეკლესიის
მრევლი